

10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
28-10.10 N 143
თბილისი
სტუ-ს წარმომადგენლობითი
საბჭოს არჩევნების შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, “მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ” დებულების, აკადემიური საბჭოს 2010 წლის 18 ოქტომბრის № 339 დადგენილების და წარმომადგენლობით საბჭოს 2010 წლის 21 ოქტომბრის № 54 სხდომის № 4 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2010 წლის 29 ოქტომბრიდან დაიწყო წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტების და ბიბლიოთეკის წარმომადგენლების არჩევნების პროცესი ქვემოთ მითითებული ვაკანსიების მიხედვით:
 - სამშენებლო ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 3 ვაკანსია, მათ შორის 2 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი – 2 ვაკანსია, მათ შორის 1 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი – 6 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 3 – სტუდენტებიდან;
 - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 8 ვაკანსია, მათ შორის 5 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 3 – სტუდენტებიდან;

